№ 748 მთავრობის მოამბე | ყოველდღიური გაზეთი | წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. | სამშაბათი, ნოემბრის 2 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

სახელმწ. თეატრი

2 ნოემბერს
ქეთო და კოტე
3 ნოემბერს
ბალეტის საღამო მიხეილ მორდკინისა
4 ნოემბერს კარმენი.
დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.
წარმოდგენის დროს შესვლა დარბაზში აკრძალულია.
972 1—1

სახელმწიფო დრამის თეატრი
(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)
სამშაბათს, ნოემბრის 2-ს
I. „დარისპანის გასაჭირი“ II „ირინეს ბედნიერება“
დ. კლდიაშვილისა.
ახალი დეკორაციები მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავის.
რეჟისორი აკაკი ფაღავა. დასაწყისი საღ. 8 საათზე.
მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აკრძალულია
ბილეთები იყიდება დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდის.
971 1—1

## ქართული სავაჭრო ბანკის გამგეობა

### ამით საყოველთაოდ აცხადებს,

რომ თანახმად აქციონერთა საზოგადო კრების 1920 წ. 18 აპრილის დადგენილებისა და ფინანსთა მინისტრის ნებართვისა ბანკი ადიდებს თავის ძირითად თანხას

**3.500.000 მანეთიდან 15.000.000 მანეთამდე 11.500 აქციათა მეორე გამოცემით. თითო აქცია ათას მანეთის (1000 მან.) ნომინალურ ღირებულებისა,**

შემდეგ პირობებით:

1) გამოსაცემი ფასი ამ აქციებისა დანიშნულია 1050 მანეთი, რომლიდანაც 1000 მანეთი ჩაირიცხება ძირითადი თანხაში, დანარჩენი 50 მან. აქციის დასამზადებლათ და მის სალერბო გადასახადის ასანაზღაურებლად.

2) უპირატესობა გამოსაცემ აქციათა შეძენაში ეკუთვნის ძველი აქციათა მეპატრონეთ. ძველ გამოცემათა თვითეულ 7 აქციაზე დაეთმობათ 23 ახალი აქცია ხოლო ვადების შემდეგ განაწილდება აქციები გარეშეთა შორის.

3) აქციაზე ხელის მოწერა დაიწყება 1920 წ 10 ოქტომბრიდან და გაგრძელდება ამავე წლის 1 დეკემბრამდე (გაზ. „საქართ. რესპ.“ №№ 237, 239 და 241 ფულის შემოტანის პირველი ვადა 10 ნოემბერი შეცდომით იყო გამოცხადებული) და ამ დროში შემოტანილ უნდა იქნას აქციის გამოცემის ღირებულების პირველი ნახევარი 550 მანეთი მეორე ნახევარი 500 მანეთი კი 1921 წ. აპრილის 10-დან მაისის 10-მდე.

4) აქციონერებს, რომელნიც მოისურვებენ აქციების სრული ღირებულების გადახდას პირველ ვადაში ე. ი. ნოემბრის 10-დე დაუბრუნდებათ ვადამდე შემოტანისათვის პროცენტი წლიური 6%-დან.

5) ახალი მეორე გამოცემის აქციები იღებენ მონაწილეობას მოგებაში (დივიდენდში) 1921 წ. 1-ლ იანვრიდან.

6) აქციაზე ხელის მოწერა მიიღება ბანკის გამგეობაში ფოთში.

7) ის პირნი, რომელნიც ხელს არ მოაწერენ ახალ აქციაზე 10 ნოემბრამდე, კარგავენ უფლებას მეორე გამოცემის აქციათა შეძენისას.

8) ფულის შემოტანის დროს აქციონერებს მიეცემათ დროებითი მოწმობები რომლებიც შემდეგში შეიცვლებიან ნამდვილ აქციებით, როგორც კი ასეთები დამზადებული იქნება.

944 2—1

## დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო-სააქციონერო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი

აცხადებს, რომ კვირას, 7-ს ნოემბერს, დილის 10 საათზე ქ. ქუთაისში, საზოგადო საკრებულოს დარბაზში, დანიშნულია

### აქციონერთა პირველი საზოგადო კრება

კრების საგანი:

1) საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება.
2) განხილვა და დამტკიცება წლიური ხარჯთ-აღრიცხვისა.
3) განსაზღვრა საბჭოსა, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა.
4) არჩევნები: საბჭოს, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა.

3490 1—1

საორგანიზაციო კომიტეტი.

## სახელმწიფო კონტროლი

### ამით აცხადებს,

რომ ამა წლის 8 ნოემბრის დღის 12 საათზე, ტფილისის ყოფილ საკონტროლო პალატის შენობაში, რომელიც იმყოფება დიდი მთავრის ქუჩაზე № 28

**შესდგება სიტყვიერი ვაჭრობა 1.500 ფუთ არა საჭირო ქაღალდების გასასყიდათ რისთვისაც დაშვებულია დახურულ განცხადების შემოტანაც.**

ამათ ვისაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში ვალდებული არიან წარმოადგინონ დანიშნულ დროისთვის და საათისვის, როგორც თავისი განცხადება, ვაჭრობაში მონაწილეობის სურვილსა აგრეთვე დახურული განცხადებანიც სადაც უნდა იყოს აღნიშნული ფასი ფუთზე, რამდენადაც სურთ შეიძინონ მატერიალი, ბინადრობის ადგილი, სახელი და გვარი თანდართული თანხით 50.000 მან. ვაჭრობის პირობების გაგება შესაძლებელია იქვე ყოველ დღიურათ დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

3412 3—3

[illegible]

## ორ-წლიანი სასოფლო-სამეურნეო კურსების სასწავლო გეგმა

| საგნები. | საათების რაოდენობა კვირაში. I კლ. | II კლ. | სულ. | საათების რაოდენობა წელიწადში. ნაანგარიშევია 20 კვირა მეცადინეობისა. |
|---|---|---|---|---|
| 1. ქართული ენა | 4 | — | 4 | 80 |
| 2. ანგარიში | 4 | — | 4 | 80 |
| 3. მიწის გასაზომი მარტივი საშუალება | — | 2 | 2 | 40 |
| 4. ბუნების მოვლენათა ახსნა | 16 | — | 16 | 320 |
| 5. ადგილობრივი მეურნეობის საკითხებზედ ბაასი და კითხვა | — | 20 | 20 | 400 |
| 6. ცნობანი სასოფლო მეურნეობისათვის გამოსადეგი კანონების შესახებ | — | 2 | 2 | 40 |
| | 24 | 24 | 24 | 960 |

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ხ. მდივანი.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. რამიშვილი.

## პრაქტიკული სასოფლო-სამეურნეო სკოლის შტატი.

| თანამდებობა. | მოსამს. რიცხვი. | ჯამაგირი წელიწადში. ერთ წლიანი. | ორ წლიანი. | სამ წლიანი. |
|---|---|---|---|---|
| მასწავლებელი პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელი | 1 | 24000 | 24000 | 24000 |
| გაკვეთილებისათვის გასამრჯელო, წლიური გაკვეთილი ნაანგარიშევია 1.800 მანეთი | — | 10800 | 21600 | 32400 |
| სასწავლო სახელმძღვანელოები | — | 10000 | 20000 | 30000 |
| | — | 44800 | 65600 | 86400 |

1. ხაზინიდან უნდა გაცემულ იქნეს აგრეთვე ხუთწლეულები, თანახმად განათლების სამინისტროსაგან მიღებული წესისა და ერთდროულად ბინისა, სამზარეულოსი და სამეცადინო ოთახის მოსაწყობად საჭირო თანხა ხარჯთ-აღრიცხვის წესით.

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ხ. მდივანი.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. რამიშვილი.

## პრაქტიკული სასოფლო-სამეურნეო სკოლის სასწავლო გეგმა

| საგნები. | საათების რიცხვი კვირაში. | | |
|---|---|---|---|
| | ერთ წლიანი. | ორ წლიანი. | სამ წლიანი. |
| ქართული ენა | 1 | 2 | 3 |
| ანგარიში | 1 | 2 | 3 |
| მიწის გაზომვა მარტივის წესით | 1 | 2 | 3 |
| ბუნების უმთავრეს მოვლენათა ახსნა | 1 | 2 | 3 |
| ცნობები სპეციალ საგნებზე | 2 | 4 | 6 |
| | 6 | 12 | 18 |
| **პრაქტიკული მეცადინეობა.** | | | |
| სამოსწავლო სადემონსტრაციო მეცადინეობა | 6 | 12 | 18 |
| სასოფლო-სამეურნეო მუშაობა | 36 | 72 | 108 |
| | 42 | 84 | 122 |

1920 წ. აგვისტოს 16 ს.

დამტკიცებულია კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. მდივანი.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. რამიშვილი.

## პრაქტიკული მეცადინეობა ზამთარში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სამოსწავლო სადემონსტრაციო პრაქტიკული მეცადინეობა | 12 | 12 | 12 | 12 | 48 |
| სასოფლო სამეურნეო მუშაობა და მორიგეობა | 6 | 6 | 6 | 6 | 24 |
| გაკვეთილების დამზადება და დამოუკიდებელი მეცადინეობა მოწაფეებისა | 18 | 18 | 18 | 18 | 72 |
| | 36 | 36 | 36 | 36 | 144 |
| **ზაფხულში.** | | | | | |
| სამოსწავლო სადემონსტრაციო და მიწის საზომი მუშაობა ექსკურსიები | 12 | 12 | 12 | 12 | 48 |
| სასოფლო-სამეურნეო მუშაობა | 36 | 36 | 36 | 36 | 144 |
| | 48 | 48 | 48 | 48 | 192 |

1920 წ. აგვისტოს 16 ს.

დამტკიცებულია კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. მდივანი.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. რამიშვილი.

ამა ოქტომბრის [illegible]

## მთავრობაში.

[illegible] ჩიმონიდამ და წითელ ჯვრის საზოგადოებას გადაეცეს 26 მანეთი ქირის მეტი თანხა. მთავრობის შეხედვით სახელმწიფო მინდობით.

ყოფილ მიხეილის სავადმყოფოდან მიეცეს სამედიცინო ინსტიტუტს 20 ლოგინი შეტყობით და ინვენტარით. კლინიკას 20 ლოგინი გადმოტანილ იქნეს მიხეილის სავადმყოფოში.

ქვირკანის სპილენძის ჩამომსხმელ ქარხანას ფინანსთა სამინისტროს სამრეწველო თანხიდან მიეცეს 10 მილიონი მან. სესხად.

ფინანსთა სამინისტროს დაევალოს მოელაპარაკოს ქარხნის მეპატრონეებს, რათა მთავრობას ქარხანაში წილი ექნეს.

## შრომის სამინისტროში

### მუშათა მაგიდა.

მუშათა მაგიდამ მიიღო 3 ვაგონი ხახვი. 500 ფუთი ხახვი გადაეცა ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთათვის დასარიგებლად. დანარჩენი ხახვი მუშათა მაგიდის საწყობში ინახება და ახლო მომავალში დაურიგდებათ მუშა მოსამსახურეთ ოჯახზე $1/2$ ფუთი. ახლო ხანში კიდევ მოელიან რამოდენიმე ვაგონ ხახვს.

— მუშათა მაგიდა ტფილისში ამ ჟამად ურიგებს პურს და სხვა სანოვაგეს მომარაგების ფონდიდან 26.800 მუშასა და მოსამსახურეს სულ იგი 64.841 ულუფას არიგებს.

## უცხოეთი

(გაზეთებიდან.)

### გენ. ბუდიონის არმიის დანაწილება.

ყირიმის გაზეთები იტყობინებიან, რომ გენერ. ბუდიონის არმია, რომელიც შესდგებოდა 45–50,000 მან. ჯარისკაცისგან დღეს ფაქტიურად დანაწილებულია და აღარ არსებობს. სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, რომ გენ. ბუდიონის არმიის ჯარისკაცთა უმრავლესობა გადასულა პოლონელებისკენ. ყველა ამ ჯარისკაცთ კარგი თავშესაფარი უპოვნიათ. პოლონელები მშვენივრად ეპყრობიან მათ, კარგად აცმევენ და კარგად აჭმევენ. ამ ჟამად პოლონეთის ტერიტორიაზე დგება ახალი არმია ბოლშევიკებთან საბრძოლველად. ამ არმიის მთავარ სარდლობა ჩაბარდა პოლკოვნიკ ვოლოშინს.

### რისთვის უნდა ზავი ინგლისს გერმანია-რუსეთთან?

„დეილი ტელეგრაფი“ სწერს: ჩვენ გვინდა ურთიერთობა დავამყაროთ რუსეთ-გერმანიასთან არა იმიტომ, რომ სიმპატიით ვუყურებდეთ ბოლშევიზმს—არამედ უფრო იმიტომ, რომ დავამყაროთ ზავი, რომელიც ევროპას სწყურია. კერძოდ რუსეთის შესახებ „დეილი ტელეგრაფი“ ამბობს, რომ თუ ბოლშევიზმი რუსეთზე დაშორებულია, მაშინ თვით ბოლშევიზმი გაითხრის თავის სამარეს და თუ იგი ახლოა რუსეთის ცხოვრებასთან, მაშინ არავითარი ინტერვენციები არ დაუშლის და თავისას გაიტანსო“.

### მილიერანი და ჯიოლიტი საბჭოთა რუსეთის შესახებ.

გაზეთი „მატენი“ შემდეგს გადმოგვცემს: მილიერანს და ჯიოლიტის შორის მოხდა სრული შეთანხმება, გარდა ერთის. ეს ერთი არის საბჭოთა რუსეთი. „თქვენ გაქვთ თქვენი ტაქტიკა, უთქვამს მილიერანს იტალიის პრემიერისთვის. ეგ თქვენი უფლებაა. მე მაქვს ჩემი ტაქტიკა. ჩემს ტაქტიკას უფრო სამართლიანად ვსთვლი, რადგან მან მეტი ნაყოფი მოიტანა. მე მას ვიცავ. რადგან ჩვენ მეგობრები ვართ, მე ვაძლევ ჩემს თავს ნებას ჩემი ტაქტიკა გირჩიოთ, მაგრამ, რასაკვირველია, თქვენ თავისუფალი ხართ ამ ტაქტიკის ამორჩევაში და გადაწყვეტაში. თქვენ გწამთ რაიმე შესაძლებლობა საბჭოთა რუსეთთან იქონიოთ ურთიერთობა ვაჭრობის დარგში. სცადეთ. რაც შეეხება ჩემს აზრს მე წინადვე ვიტყვი, რომ ეს საქმე რა სახესაც მიიღებს. თქვენ პატიოსნურად გაუგზავნით მათ საქონელს, მაგრამ სამაგიეროს თავის დღეში ვერ მიიღებთ. ისინი საქონლის მაგივრად მოგაწოდებენ: პოლიტიკურ პროპაგანდას“.

### სამოქალაქო ომი დაღესტანში.

სამოქალაქო ომი დაღესტანში ფართოვდება. მოძრაობა დაიწყო გუნიბის, ავარიის და ანდიის ოლქებშიც. დაღესტანში გაჩაღდა ფრონტი სოფ. ჩოხიდან სალტინსკის ხიდის ხაზამდე ბოტლიხში 200 რუსი ტყვე ჩაიგდეს დაღესტანის აჯანყებულებმა. ანდიის რევკომის თავმჯდომარე მუსსა კუნდუხოვი გაიქცა ხუნზახში. ბაქოს გაზეთები შემდეგს იტყობინებიან ამ სამოქალაქო ფრონტის შესახებ: წითელთა ჯარები დაქსაქსეს გოცინსკის ბანდებმა. რამდენიმე ასეული მეომარი თვალებაბნეული გარბის დაღესტანიდან. გოცინსკის სიტყვით, რომელმაც დაქსაქსა „წითელნი“ საშინელ სურათს წარმოადგენენ ის ხალხი ვინც წითელ არმიაში მსახურობდნენ. წითელ არმიელები მიუხედავად იმისა რომ საქმე ცუდათ მისდით მაინც არა ცხრებიან და ახალ ჯარს აგროვებენ ამბოხებულების წინააღმდეგ. კაზი კუხუმის და დარგინის ოლქიდან ბევრი ხალხი იკრიფება საომრად. კომუნისტებთან მოდიან ახალი ხალხი და ერთად უნდათ გავიდნენ საომარ ფრონტზე.

### ტერორი თერგის ოლქში.

მთიელთა აჯანყების გამო დაღესტან-საჩეჩნეთის უკმაყოფილოების გამო თერგის ოლქში ბოლშევიკებმა გააძლიერეს თვისი ტერორული მოქმედებანი. კავკავის რევოლიუციონურ ტრიბუნალმა დახვრეტა გადაუწყვიტა

## ნოე ჟორდანიას სიტყვა

**(წარმოთქმული სახალხო გვარდიის 2 ყრილობაზე)**

(დასასრული)

ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ქემალ-ფაშის პარლამენტში ორი მიმდინარეობა იყო,—ერთი ნაციონალური, მეორე პანისლამისტური. საბოლოოდ ნაციონალური დამარცხდა და ნაციონალისტი დეპუტატები გარეკეს და დარჩნენ პანისლამისტები. და აი, ამისთანა პანისლამისტებთან კავშირი და საქმე აქვთ ბოლშევიკებს.

ყოველ შემთხვევაში, როცა დღეს ევროპას ეპირდაპირება ერთის მხრივ ბოლშევიზმი რუსეთის სახით და მეორეს მხრივ აზია, მას იგი ეპირდაპირება იდეურად. ე. ი. ეპირდაპირება იმ მხრივ, რომ უარს ყოფს ევროპის მატერიალურ-პოლიტიკურ კულტურას. ისინი უარს ყოფენ დემოკრატიზმს და ცდილობენ, რომ შეიარაღებულ ძალით, თავისუფლების ერთნაირი მოსპობით დაამყარონ თავისი იდეები თავის სახელმწიფოში. ეს უარისყოფა დემოკრატიზმისა და თავისუფლებისა არის ნიშან დობლივი თვისება ბოლშევიზმისა. ამაში ერთნაირად ეთანხმებიან ერთმანეთს ბოლშევიკურ რუსეთის და აღმოსავლეთის აზიურ სახელმწიფოების დესპოტიური ტრადიციები. ბოლშევიზმი—ეს ძველი დესპოტიზმის ახალ ფორმებში აღდგენაა და ამით იგი ხატავს ნათლად აზიის სულის კვეთებას.

აი, ასეთი შერეული მოძრაობის, ასე ვთქვათ, ამალგამას, ასეთი შეერთება ურყოფითი და დადებითი თვისებებით აშინებს ევროპას და იგი ილებს ყოველ ზომას, რომ ამ მოძრაობას ისეთი ბარიერი გაუკეთოს, რომ აქედან იქით არ გადავიდეს. რატომ აშინებს? დღეს არის ორი ევროპა: ერთი გამარჯვებული და მეორე დამარცხებული. დამარცხებული ევროპა ცდილობს, რასაკვირველია, რომ ეს დამარცხება შეამსუბუქოს. დამარცხებული გერმანია და ავსტრია ცდილობენ გამოვიდნენ იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც არიან. პირიქით, გამარჯვებული ინგლისი, საფრანგეთი და სხვები ცდილობენ შეინარჩუნონ თვისი მდგომარეობა და ცხოვრებაში გაატარონ ვერსალის ხელშეკრულება. ამიტომ, ეს დამარცხებული სახელმწიფოები რუსეთისა და აზიის მოძრაობას უყურებენ როგორც ერთნაირ თავის სასარგებლო მოძრაობას, მაგ. თუ ინდოეთში ინგლისი დამარცხდება და ეგვიპტე აღარ ექნება, ან და საფრანგეთი აზიაში დამარცხდება, ამას უყურებენ როგორც თავისთვის ხელსაყრელ მოვლენას და ამიტომ ამ მოძრაობას ისე მტრულად არ უცქერიან, როგორც ინგლისი და საფრანგეთი.

ერთმა დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ გერმანიაში, რეაქციონერმა, ვილჰელმის მარჯვენა ხელმა—ლიუდენდორფმა სთქვა, რომ ჩვენი ხსნა ბოლშევიზმშია, ე. ი. ბოლშევიკები დაარღვევენ ანტანტას და თუ ის დაირღვა, მაშინ დაირღვევა ვერსალის ზავიც.

მეორე გარემოება არის ის, რომ დღეს მთელ ევროპაში გამწვავებულია კლასთა ბრძოლა. აი ამ კლასების ბრძოლაში ერთის მხრით სდგას იმპერიალისტური მთავრობები და მეორეს მხრით პროლეტარიატი. აი, ამათ შორის იჭრება ბოლშევიზმი—ეს ერთნაირი რევოლიუციონური მოძრაობა, და მიტომ ამ კლასთა ბრძოლას ამწვავებს, ახალი ფორმები შეაქვს. ეს გარემოება კიდევ უფრო აშინებს ამ იმპერიალისტურ მთავრობებს და სახელმწიფოებს. მაგრამ გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ ამ ბოლშევიზმის შეჭრა ევროპის მუშათა მოძრაობაში არამც თუ აძლიერებს ამ მოძრაობას, არამედ ასუსტებს. იქ, სადაც ის შეიჭრა მოძრაობა ყველგან დასუსტდა. იქ, სადაც ბოლშევიკები არ არიან, ან მცირე არიან, მეტად დიდია მუშათა მოძრაობა და აქვს ფართო ხასიათი. მაგ. ინგლისში არასდროს არ ყოფილა მუშათა პარტია ისეთი ძლიერი, როგორც დღეს, რადგან იქ ბოლშევიზმი მეტად სუსტია. პირიქით—საფრანგეთში ბოლშევიკური მიმართულება არის ძლიერი, მაგრამ ამასთანავე მუშათა პარტია ისეთი სუსტია, როგორც არასოდეს. ეს იმიტომ არის, რომ მუშათა მოძრაობა არის იმდენად ძლიერი, რამდენადაც მას მხარს უჭერს არა პროლეტარული ელემენტებიც. საქმე იმაშია, რომ არ შეიძლება მოხდეს რევოლიუცია ისე, თუ მისი მომხრე არ არის ხალხის უმრავლესობა. იქ კი, საფრანგეთში და გერმანიაში, ის ხალხი, რომელიც მუშებს უჭერდა მხარს ბოლშევიზმის შიშით, მიემხრო ბურჟუაზიულ პარტიებს, ისე, რომ ბოლშევიკურმა პროპაგანდამ ისეთი როლი ითამაშა, რომ აუარებელი ხალხი ჩამოაშორა სოციალიზმს და გადარეკა მოწინააღმდეგე ბანაკში.

ეს კიდევ არაფერი. საქმე იმაშია, რომ თვით სოციალისტებშიაც ამ იდეამ შეიტანა დიდი განხეთქილება. შეუძლებელია ბოლშევიკური ინტერნაციონალი იმიტომ, რომ ინტერნაციონალი არის სხვა და სხვა ერთა მუშების ერთ უღელში გაბმა. ბოლშევიზმი კი წმინდა ნაციონალური, წმინდა რუსული მოვლენაა. ამიტომ შეუძლებელია, რომ მან შეაერთოს ფართო მასა დასავლეთ ევროპისა და სხვა სახელმწიფოებისა.

ამიტომ ეს ბოლშევიკური მეთოდი შედის ევროპაში არა როგორც ფართო სოციალისტური მოძრაობა, არამედ როგორც სექტა და ეს ჰყოფს სოციალისტებს ჯგუფებად. აი, მაგალ. გერმანიაში თვით სპარტაკელთა შორის არის ორი ჯგუფი. და მათ შორის ბრძოლაა. ეხლა დამოუკიდებელი სოციალისტური პარტია სამად გაიყო. გერმანიაში, სადაც მუშათა მოძრაობა მეტად ძლიერი და მძლავრი იყო, ეხლა ის წვრიმალდება. აშკარაა, როცა სოციალისტური პარტიები ჯგუფებად იყოფიან, სუსტდება ენერგია პროლეტარიატისა.

აი, ასეთია საერთო მდგომარეობა პოლიტიკური და სოციალური შინაარსით—რუსეთში, აზიაში და ევროპაში.

ეხლა სად უნდა იყოს ჩვენი პოზიცია ასეთ მდგომარეობაში? ჩვენი პოზიცია ერთად ერთია: ჩვენ ვიცავთ ნეიტრალობას. რატომ ხანდისხან ნეიტრალობა ნიშნავს უხასიათობას, გაუბედაობას, ლაჩრობას. არის ეს? ეს არ არის აქ. აქ ნეიტრალობა გამოწვეული არის წმინდა პრინციპიალური მოსაზრებით. ჩვენ არც ერთ მოპირდაპირეს არ ვუჭერთ მხარს იმიტომ, რომ არც ერთი მათგანი არ არის ჩვენი იდეების მატარებელი. ერთად ერთი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლიან სთქვას, რომ ის არც იმპერიალისტურია და არც ბოლშევიკური, არის ჩვენი სახელმწიფო. ჩვენ არც იმპერიალისტები და არც ბოლშევიკები არა ვართ; ჩვენ ვართ სოციალისტები და თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ვერც იმპერიალისტების და ვერც კომუნისტების ბანაკში. აი, ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ ვიცავთ საკუთარ პოლიტიკას, ნეიტრალურ მდგომარეობას. ეს ორი წელიწადია, თუ მეტი, ჩვენ ამ ნიადაგზე ვდგევართ მტკიცედ. ჩვენ ყოველი მხრიდან გვეპატიჟებოდენ ხან იმპერიალისტები და ხან ბოლშევიკები, მაგრამ ჩვენი პოზიციიდან დღემდე არ გამოვედით და არც გამოვალთ, იმიტომ, რომ არც ერთი სახელმწიფოს მთავრობა არა გავს ჩვენი სახელმწიფოს მთავრობას. ჩვენს შორის პრინციპიალური განსხვავება არის და ამიტომ, თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ მათ ვერ მივექედლებით. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ სახელმწიფოებთან არ გვქონდეს ზოგიერთი საერთო ინტერესები, რომ ყველა ძაფები ჩვენ და მათ შორის გაჭრილია.

რა ინტერესებია ეს?

პირველი არის ის, რომ ჩვენ ვდგევართ თავისუფლების და დემოკრატიზმის ნიადაგზე, და მაშასადამე, ჩვენ ამით უკავშირდებით დასავლეთ ევროპას. მეორე მხრით ჩვენ ვდგევართ იმ ნიადაგზე, რომ სოციალისტური რევოლიუციის დაწყება არ შეიძლება არც საქართველოდან, არც რუსეთიდან. ეს მოწინავე სახელმწიფოებმა—ინგლისმა, ან საფრანგეთმა უნდა დაიწყოს. სანამ ეს არ მოხდა, ჩვენში უნდა იყოს განვითარებული ევროპის ფორმის საწარმოო ძალები და ამი-

ტა შემდეგ პირებს: ასლან გირეის, კარაჯაებს და გაბული და ბალი თამაზოვებს. ბევრი კატორღით დასაჯეს.

**საბჭოთა მისია ანგორაში.**

ანგორაში ჩავიდა საბჭოთა რუსეთის მისია 24 კაცით მისიის თავმჯდომარედ არის ელიავა. მათ დიდი ზეიმით შეხვდნენ. მისიამთან თავისი საკუთარი რადიო აპარატი ჩამოიტანა.

**საჩეჩნეთში.**

ჩეჩნები ძალიან გაბრაზებულები არიან მათ ირავითარი ძალა უფლება არა სწამთ, საბჭოთა მთავრობას გავლენა აქვს მხოლოდ გროზნაში და გუდერმესში. დანარჩენ ადგილას ისინი ჩეჩნელებს ახლო ვერ მისდგომიან ეშინიათ და მართლაც მთელი საჩეჩნეთი სასტიკ წინაალმდეგობას უწევს წითელ არმიელთა მოქმედებებს.

# ე. პ. გეგეჭკორი საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნ ლეიგთან

სექტემბრის 31, საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ მა ლეიგმა სადარბაზოდ მიიღო ევგ. პ. გეგეჭკორი.

ე. პ. გეგეჭკორმა გადასცა ბ-ნ ლეიგს წერილი ნოე ჟორდანიასი, რომელშიაც საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე აღნიშნავს ქართველი ერის მეგობრულ გრძნობებს საფრანგეთის რესპუბლიკისადმი ⁊ გამოსთქვამს მტკიცე იმედს, რომ საფრანგეთის მთავრობა დაეხმარება საქართველოს რესპუბლიკის მიერ თავისუფლებისა და დამოუკიდებელ არსებობისათვის წარმოებულ მძიმე ბრძოლაში.

ბ-მა ლეიგმა უპასუხა, რომ ის დიდად მოხარულია, რადგან მას საშუალება ეძლევა კავშირი იქონიოს საფრანგეთის მთავრობის სახელით საქართველოს ნორჩ რესპუბლიკასთან, მით უმეტეს, რომ საფრანგეთი დიდი ინტერესითა და ცხოველი თანაგრძნობით ადევნებს თვალყურს იმ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის საქმეს, რომელიც ასეთი ჩინებული წარმატებით მოჰყავს სისრულეში ქართველ ხალხსა და მის ახალგარდა რესპუბლიკის მთავრობას.

საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა პირადი დამოკიდებულების დამყარება ე. პ. გეგეჭკორთან, რომლის შესახებაც მას დიდი ხანია სასიამოვნო ცნობები აქვს, როგორც მისი მოღვაწეობიდან საქართველოს კეთილ დღეობისათვის, აგრეთვე იმ თანაგრძნობიდან, რომელსაც ე. პ. გეგეჭკორი, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს რესპუბლიკისა იჩენდა ფრანგ მოქალაქეთა მიმართ.

ე. პ. გეგეჭკორმა განაცხადა, რომ მას იმედი აქვს დახმარებისა საფრანგეთის მთავრობის მხრივ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულათ ცნობის საქმეში, ვინაიდან გარეშე ამ აქტისა წარმოუდგენელია სასურველი კავშირის აღდგინა დასავლეთ ევროპისა და საქართველოს შორის.

ბ ნმა ლეიგმა განაცხადა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი, მასში არავითარ რყევას და ეჭვს არ იწვევს. მიზანი დასახული საქართველოს რესპუბლიკის მიერ უნდა მიღწეულ იქმნას და ამ საქმეში საფრანგეთის მთავრობა გაუწევს მას სრულ დახმარებას. საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობა, ყველა დიდ სახელმწიფოთა მიერ, დააგვირგვინებს საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას საქართველოს საკითხში.

ე. პ. გეგეჭკორმა გულითადი მადლობა გადაუხადა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარეს იმ თანაგრძნობისათვის, რომელსაც ის იჩენს საქართველოსადმი.

მეორე დღეს ე. პ. გეგეჭკორი მიიღო საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა, ბ.ნმა ბერტელომ, რომელთანაც მას ხანგრძლივი ბაასი ჰქონდა.

# საბჭოთა რუსეთში

(«ვოლნი გორეცის» ცნობები.)

**ქ. ჩიტას აღება.**

მოსკოვის რადიო იტყობინება რომ წითელ პარტიზანელების მიერ აღებულია ქალაქი ჩიტა.

**გლეხთა მოძრაობა.**

კონსტანტინოპოლიდან იტყობინებიან რომ უკრაინაში გლეხთა მოძრაობა საბჭოთა რუსეთის წინაალმდეგ თან და თან იზრდება. საბჭოთა მთავრობის დაწესებულებები კიევიდან-ხარკოვში გადააქვთ.

**რუსეთ ფინეთის საზავო ხელშეკრულება.**

რუსეთ-ფინეთის საზავო დელეგაციამ საზავო ხელშეკრულებისაყველა მუხლი უდავოდ მიიღო.

**გენ. კუროპატკინი.**

როგორც ლონდონიდან იტყობინებიან გენერალ კუროპატკინი მეთაურათ ყოფილა იმ ჯარის რომელსაც ბუხარა აუღია და ეხლა ავღაანში აპირებენ შესვლას.

**ახალგაზრდა კომუნისტები.**

მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის ახალგაზრდა კომუნისტების მესამე ყრილობა.

# ახალი ამბები

**დიდი თოვლი.** გუდაურიდან გვატყობინებენ რომ იქ დიდი თოვლი მოსულა. ავტომობილი ვერ გაივლის. გზა იწმინდება მაგრამ ამასთანავე მოდის ახალი თოვლი და გზებს ისევ ავსებს.

**სახელმწიფო შემოსავალი.** ფინანსთა სამინისტროს ცნობით სექტემბერში სახელმწიფოს შემოსავალი ყოფილა 273.894.495 მანეთი აქედან პირდაპირი გადასახადი ყოფილა 13.040.773 მან. არა პირდაპირი 231.011.827 მან. საბაჟოებიდან 29.841.895 მ. აგვისტოდან შედარებით შემოსავალმა მოიმატა 119.628.505 მანეთი. კერძოთ მეტად გადიდდა შემოსავალი პირდაპირი გადასახადისაგან.

**საავადმყოფო საქმე.** სამკურნალო სასანიტარო ნაწილის უფროსმა აღძრა შუამდგომლობა სურამის სასანიტარო სადგომის ელექტრონით განათების შესახებ. გზათა უწყების დეპარტამენტმა ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

**სახელმწ. შემოსავალ გასავალის პროექტი.** ფინანსთა სამინისტრომ შემოიტანა დამფუძნებელ კრებაში 1920-21 წ. სახელმწიფოს შემოსავალ გასავალის პროექტი.

**სამხატვრო ქრონიკა.**

**სახალხო სახლი.** დღეს სახალხო სახლ. არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება: პირველად ქართულ სცენაზე „კატასტროფა“.

**ქართული ოპერა.** დღეს სახელმწიფო საოპერო თეატრში პირველად ამ სეზონში დაიდგმება ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“ ოპერაში მონაწილეობს ბ-ნი სარაჯიშვილი, რომელიც პირველად გამოვა კოტეს პარტიაში.

**ქართული დრამა.** სახელმწიფო დრამის თეატრში დღეს ხელმეორედ წარმოდგენილი იქნება დ. კლდიაშვილის პიესები „დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“ ახალი დეკორაციებით, ტანისამოსითა და მიზანსცენებით. დასდგამს რეჟისორი აკაკი ფაღავა.

# ქალაქთა კავშირში

ოქტომბრის 26 ქალაქთა კავშირის კომიტეტის აღმასრულებელ ბიუროს გაფართოებული სხდომა შესდგა. სხდომის გახსნის წინ თავმჯდომარე ელიავამ აღნიშნა, რომ სხდომა ვერ შესდგება წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამოო. ვინაიდან გასარჩევ საკითხთა შორის იყო ისეთი საკითხები, რომელიც ბიუროს უნდა გაერჩია, ამიტომ ელიავამ წინადადება შემოიტანა გარჩეულიყო ეს საკითხები. მცირე კამათის შემდეგ ელიავას წინადადება მიიღეს, შემდეგ მთავარ კომიტეტის მდივანმა მოახსენა სხდომას საანგარიშო განყოფილების ცნობები იმ ქალაქების შესახებ, რომლებმაც წარმოადგინეს თავისი ხარჯთაღრიცხვა. გადასწყვიტეს მიიღოს მთავარმა კომიტეტმა ზომები ქალაქებზე დარჩენილ საწევრო გადასახადთა შესაკრებად და ხარჯთაღრიცხვების წარმოსადგენათ. შემდეგ ელიავამ წაიკითხა მოხსენება ქალაქების დავალიანების და მათთვის საქონლის მიცემის წესის შესახებ. მოხსენებაზე მსჯელობის შემდეგ დაადგინეს: დასტოვონ არსებული წესი საქონლის ღირებულების ფას დადებით გაგზავნისა და გააუქმონ ძველი ანგარიშები სათანადო თამასუქების მოთხოვნით. შემდეგ ელიავამ სხდომას აცნობა საქველმოქმედო ფონდი თანხის განაწილების შესახებ. დაადგინეს სახალხო გვარდიის მთავარ-შტაბის განკარგულებაში გადაიდვას 25,000 მანეთი თეატრის ასაშენებლად. დაადგინეს აგრეთვე მიეცეს: პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სახალხო უნივერსიტეტისა და მუშათა კლუბის საჭიროებისათვის 50 ათასი მანეთი. „ნაკადულს“ და „ჯეჯილს“ თვითეულს 10 ათასი მანეთი საქართველოს ეროვნულ გუნდს 15 ათასი მანეთი. 50 ათასი მანეთი სახელმწიფო უნივერსიტეტს ღარიბეს სტუდენტთათვის გასანაწილებლად. დედათა და ბავშთა მფარველ საზოგადოებას 100,000 მანეთი, ქართულ მუსიკალურ სასწავლებელს 10 ათასი მანეთი. ჟურნალ „ოკეანის“ დახმარების საკითხი ღიათ დარჩა. სხდომის დახურვის წინ გადასწყვიტეს რომ თათბირზე კომუნალურ ბანკის გახსნის შესახებ მოიწვიონ ფინანსთა მინისტრი, სახელმწიფო ბანკის მმართველი და დამფუძნებელ კრების საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

---

ტომ ვულებთ კარებს ევროპის კაპიტალს და ამ მხრითაც საერთო ინტერესები გვაქვს დასავლეთთან. თავის თავად ცხადია, რომ რუსეთში სოციალისტური, მენშევიკური მთავრობა რყოს, ჩვენ მაშინ ნეიტრალურ პოზიციაზე არ ვიდგებოდით და ვიტყოდით, რომ მხარს უჭერთ მათო. მაგრამ ეს ასე არ არის. იქ, რუსეთში არის ორი ძალა: ერთი ბალშევიკებისა და მეორე რეაქციონერებისა. მესამე ძალა არ არის და ჩვენ ამ ძალებს შორის არჩევანი უნდა მოვახდინოთ, და ჩვენ ვამბობთ, რომ რუსეთში რეაქციის, ვრანგელის, გამარჯვება არის რეაქციის გამარჯვება არა მარტო ბალშევიკებზე, არამედ ჩვენზედაც. ვრანგელი მოსკოვში—ნიშნავს ვრანგელი ტფილისში. ეს უნდა იცოდნენ ჩვენმა ამხანაგებმა, უნდა იცოდნენ ყველამ და ამ პოზიციას არ უნდა გადავცდეთ.

სამწუხაროდ, ჩვენში ასეთები ბევრნი არიან. შეიძლება ისინი არ იყვნენ ჩვენ პარტიაში, მაგრამ სხვა პარტიიდან არიან, რომელნიც ვრანგელს ეარშიყებიან და ფიქრობენ აქედან რაიმე კაპიტალი შეიძინონ.

გვარდიამ, განსაკუთრებით ფრონტებზე უნდა მიაქციოს ამას განსაკუთრებით ყურადღება და არავითარი, ასე ვთქვათ, ვრანგელურ მიმართულებას ჩვენ ფრონტზე ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

(ვ. ჯუღელი: ამ მხრივ ჩვენ დასტრახული ვართ).

მაშასადამე, გამარჯვება ვრანგელისა არის ამავე დროს ჩვენი დამარცხება, მაგრამ შეუძლია მას გამარჯვება? შეიძლება ჩვენ უტოპისტები ვართ, შეიძლება ისეთ რამეს ვაკეთებთ, რომ ხვალვე ის უნდა დაიქცეს. თუ კი შეიძლება ვრანგელის გამარჯვება რუსეთში, მაშინ თავის-თავად ცხადია, რომ ჩვენი საქმე დაღუპულია.

მაგრამ მას ეს არ შეუძლიან, არ შეუძლიან იმიტომ, რომ აქ, ამ ბრძოლაში, რომელიც დღეს სწარმოებს რუსეთში, იღებენ მონაწილეობას სხვა და სხვა კლასები, ეს კლასიური ბრძოლაა. მაშასადამე, მოსკოვის მთავრობას უნდა დაუპირდაპირდეს რომელიმე კლასი, ისეთი მაგარი, რომ ამ მთავრობის ჩამოგდება შეეძლოს. ვინ არის ეხლა ასეთი კლასი? არის თუ არა ვრანგელის გარშემო ასეთი კლასი? მე ვამბობ, რომ მის გარშემო ასეთი კლასი არ არსებობს. ძველი ფეოდალური კლასები ისე არიან დარღვეული, რომ არავითარ კლასს არ წარმოადგენენ. მას მამული და ძალა არა აქვს და მხოლოდ თითო-ოროლა პირი შეიძლება იყოს მათ იდეოლოგათ, მაგრამ როგორც სოციალური ძალა, ის არ არსებობდა. მაშასადამე ამ კლასს არ შეუძლია მისცეს ვრანგელს ის ძალა, რომელიც მისთვის არის საჭირო.

ძველი ბურჟუაზიაც დღეს რუსეთში სავსებით დანგრეულია. მას დაემართა ისეთივე საქმე, რაც დაემართა ფეოდალურ კლასს, ამათ, რასაკვირველია, არ შეუძლიათ ვრანგელის გარშემო მოიკრიბონ თავი, იმიტომ რომ, ის რასაც ჰქვიან „რუსეთის ბურჟუაზია“—ის სცხოვრობს სხვა და სხვა უცხო ქვეყნებში, არ წარმოადგენს ერთ მთლიან ეკონომიურ ძალას. იმათგან არიან ასე ვთქვათ მოღვაწეები, ისინი რასაკვირველია არიან ვრანგელის გარშემო, მაგრამ ისინი ვერ გასწევენ თავის კლასის როლს.

მაშასადამე, ვრანგელის გარშემო თავს იყრის ძველი დამარცხებული კლასის მოღვაწენი, თითო ოროლა ცნობილი პირები, მაგრამ მის გარშემო თავს არ იყრის არც ერთი კლასი ისეთი ძლიერი, რომ მან შესძლოს ისეთი საქმის გაკეთება, როგორიც არის დამარცხება მოსკოვისა: აქ შეიძლება ვილაპარაკოთ ერთადერთ კლასზე, რომელიც უეჭველად წარმოადგენს დიდ ძალას. ეს არის გლეხობა. ⁊ თუ გლეხი მიემხრო ვრანგელს, მაშინ თავის თავად ცხადია, რომ ადვილად შეიძლება ვრანგელის გამარჯვება. მაგრამ მე ვამბობ, რომ ეს არ შეიძლება. არ შეიძლება იმიტომ, რომ ვინაიდან ვრანგელის გარშემო მთელი მისი ამალა, მთელი მისი ძალა არის შემდგარი ძველი დამარცხებული კლასების ხალხისგან, ძველი თავად-აზნაურებისაგან, რომელთა ინტერესები ეწინააღმდეგებიან გლეხების ინტერესებს, თავის თავად ცხადია ვრანგელს არ შეუძლიან მოათავსოს, შეათანხმოს ამ დამარცხებულ კლასის და გამარჯვებულ გლეხების ინტერესები. ამიტომ ორში ერთი უნდა მოხდეს: ან უნდა იყოს გლეხის გენერალი—დამცველი, ან უნდა იყოს ის, რაც არის დღეს. მას არ შეუძლიან გლეხების გენერალი იყვეს იმიტომ, რომ გლეხები ადგანან უეჭველად რევოლიუციონურ გზას, მაშინ, როდესაც ამაზე არ დგას და არც შეიძლება იდგეს არც ვრანგელი, არც მისი ამალა და მთავრობა. მართალია, ჩვენ ვიცით ისტორიაში მაგალითი, როდესაც გლეხებს ჰყავდათ თავისი გენერალი და ამ გენერალს იმპერატორის ტიტულიც მიანიჭეს· ეს იყო ნაპოლეონი, მაგრამ ნაპოლეონი იყო შვილი რევოლიუციისა, ის არ იყო შვილი რეაქციისა, მას არავითარი კავშირი არ ჰქონია ძველ დამარცხებულ კლასთან. იმან შექმნა ახალი არისტოკრატიული წოდება, მაგრამ ისინი იყვნენ ახალი ხალხი, ისინი იყვნენ იგივე გლეხები ⁊ მეჩანები, მხოლოდ მათ ჩინი მისცა მან, ზოგს დაარქვა მარშალი და ზოგს მარკიზი, თავის თავად ცხადია არავითარი მსგავსება არ შეიძლება ნაპოლეონისა ვრანგელთან.

აი ეს, რასაკვირველია, არ ესმით ევროპის ზოგ სახელმწიფო მოღვაწეთ. შეიძლება ესმით ასეთი მდგომარეობა, მაგრამ მაინც ძველ ტრადიციულ ანტიბალშევიკურ პოლიტიკას ვერ ივიწყებენ. ეს რომ ასე ესმოდეს ინგლისს, ის მილიონ სტერლინგებს არ გადაყრიდა უნაყოფოდ. ამ საკითხზე ჩვენი აზრი სრულიად ნათელი არის. ჩვენ ვართ, მაშასადამე, წინააღმდეგი რუსეთის ბლოკადისა, ვართ წინააღმდეგი ამ შინაგანი სამოქალაქო ომისა და ვართ მომხრე იმისა, რომ რუსეთი ჩადგეს განვითარების ნორმალურ კალაპოტში და მაშინ შეიქმნება ბალშევიკების შინაგანი ევოლიუცია და ბალშევიზმი მაშინ მიიღებს თანდათან იმ სახეს, რაც უნდა აუცილებლად მიიღოს, თუ სურს იარსებოს. რუსეთმა ამ რევოლიუციის საშუალებით უნდა აკეთოს ის, რასაც ვაკეთებთ ჩვენ. თუ არ უნდა არსებობა, მაშინ. თავის თავად ცხადია, მათ შერჩებათ ის მეთოდები, რაც არის ეხლა. როცა იქ არ იქნება ომი, როცა მიეცემა საშუალება რუსეთს თავისუფლად ივაჭროს ევროპაში, მაშინ ბალშევიზმის უკანასკნელი ზარი დარეკავს და მაშინ შეიძლება სოციალისტურ-დემოკრატიულ პოლიტიკის განმტკიცება.

მაშასადამე, ასეთი არის ჩვენი პოზიცია ამ საკითხში.

ამნაირად ჩვენი საგარეო მდგომარეობის წარმოდგენა და ამ ქაოსში ერთი მეორის ინტერესების შეხლა-შემოხლის დროს პოზიციის ნახვა ამავე დროს არის ჩვენი სწორი პოლიტიკის წარმოება და ამაში არის ჩვენი ხსნა. თუ ჩვენ ამდენ ხანს გავძელით, ეს არა მარტო იმისთვის, რომ ჩვენ გვქონდა მახვილი ხმალი, არამედ იმისთვისაც, რომ ჩვენ გვქონდა სწორი პოლიტიკა. როცა ჩვენ საგარეო მდგომარეობას ვერ გავიგებთ სწორად და ჩვენ ამ შეხლა-შემოხლაში დავიჭერთ ისეთ ადგილს, რომელიც არ უნდა დავიჭიროთ, როგორც ეს ემართება ერთ ჩვენ მეზობელ სახელმწიფოს—მაშინ თავის თავად ცხადია, ჩვენ ჩავარდებით უარეს მდგომარეობაში, ვინემ ის არის. ამიტომ ჩვენი განვითარების უზრუნველსაყოფად საჭირო არის, რომ მთელი ჩვენი გვარდია, მთელი ჩვენი პარტია—სოც.-დემოკრატიული და აგრეთვე ის ჯგუფები, ვინც ამ პარტიას მისდევენ, უეჭველად იდგენ ერთ გარკვეულ საგარეო და საშინაო პოზიციაზე. ის საგარეო პოზიცია, რომელიც ჩვენ გვაქვს, ეს უნდა გვქონდეს არა მარტო თავში, არამედ უნდა გავატაროთ ცხოვრებაში. ეს ჩვენი საშინაო ტკივილები, რომელიც ჩვენ გვაქვს დღეს, ეს ტკივილები უნდა გავკურნოთ ჩვენი საშუალებით და ჩვენივე იარაღებით. არავინ დღეს ჩვენ არ გვიშველის. ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი სატკივარი თავისი დავიდარაბა, არავის არ სცალიან ჩვენთვის, მარტო ჩვენ უნდა ვიყვეთ ჩვენ საგარეო და შინაურ პოზიციაზე ფხიზლად დამდგარი. ჩვენი ბედი არის ჩვენ ხელში და ამ საქმეში პირველი ადგილი უკავია ჩვენ სახელოვან სახალხო გვარდიას. (მხურვალე ტაში და ოვაციები)

# ერობა

## ახალციხის ერობაში.

ოქტომბრის 25 ახალციხის სამაზრო ერობამ იყიდა სახერხი ქარხანა 1.800.000 მანეთად. ქარხანა ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას. სამაზრო ერობა ამ ჟამად მუშაობს ბორჯომ-აბასთუმან-ახალციხეს შუა მიმოსვლის გასაუმჯობესებლად.

## გორის ერობაში.

გორის სამაზრო ერობამ დაამტკიცა ატენის თემის დადგენილება სასკოლო საქმის საჭიროებისათვის ფულის შეკრების შესახებ. გადაწყვეტილია ატენის თემში ამ საქმისათვის შეაგროვონ 673.700 მანეთი.

— გორის სამაზრო ერობამ დაადგინა აილოს გორის მაზრის მთები. საექსპლოატაციოთ გადაიდვა ნახევარი მილიონი მანეთი კვლევა-ძიებისათვის. ამ საქმის ხელმძღვანელობა ტეხნიკურ კომისიას მიენდო.

## ქუთაისის ერობაში.

ქუთაისის ერობამ შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ გადაეცეს მას ქუთაისის მაზრაში საფონდო გადასახადების გაყიდვისაგან შემოსულ ფულის ორი მეხუთედი. ეს ფული დაიხარჯება არხების გასაყვანად, ტბეების ამოსაშრობად და სხ. გადაწყდა აგრეთვე, რომ ამ საქმისთვის 150 მილ. მან. გამოითხოვონ.

# სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა.

სახალხო გვარდიის ყრილობის ოქტ. 28 სხდომაზე დგებუაძეს მოხსენების შემდეგ მიიღეს სახალხო გვარდიის წესდების პროექტი და ჯიბლაძის მიერ წარდგენილი გვარდიის სასოფლო მეურნეობაში მუშაობის დებულების პროექტი. ოქტ. 29 სხდომაზე ყრილობამ გვარდიაში სამხედრო ჯილდოს მიღების წესი უარყო. შემდეგ ყრილობამ შესწორებით მიიღო სახალხო გვარდიელთა ფორმა და სამხედრო ნიშანი. მიიღეს ვ. ჯუღელის წინადადება სახ. გვ. სასტიკის პასუხის მგებლობის შესახებ. მიიღეს აგრეთვე ჯუღელის მიერ წარმოდგენილი დებულება ომის დროს საველე შტაბების დაარსების შესახებ. მიიღეს ვასაძის მოსაზრებები გვარდიაში კულტ. განმანათლ. მუშაობის შესახებ. შემდეგ დაადგინეს მიმართონ მთავრობას სასტიკი ზომები მიიღოს სამსახურში ბოროტ-მოქმედების წინაალმდეგ. ამაში გვარდია მთავრობას ენერგიულ დახმარებას აღმოუჩენს. უკანასკნელ სხდომაზე ოქტ. 30 აირჩიეს მთავარი შტაბი, რომელშიაც შედიან: ჯუღელი, ა. დგებუაძე, ჯიბლაძე, ჭაბრიშვილი, ა. სალუქვძე, დ. სადირაშვილი, რ. აფშტროვი, დ. რუსაძე, ე სირბილაძე, გ. ფალავა და სხვა.

სხდომის დახურვის წინ გადასწყვიტეს მისალმებითი დეპეშით მიმართონ დამფუძნებელ კრებას, მთავრობის თავმჯდომარეს, ქ. კაუცკის, სამხედრო მინისტრს და პროფ. კავ. საბჭოს. შტაბის ახალი შემადგენლობის სახელით კრებას სამადლობელი სიტყვით მიმართა ვ. ჯუღელმა. ბოლოს ელიავამ აღნიშნა ყრილობის მუშაობის საქმიანი ხასიათი და ყრილობის წევრთა რევოლიუციონური განწყობილება.

# მუნიციპალ. ცხოვრება

## ოზურგეთის ქალაქის თვითმმართველობაში.

უკანასკნელი დადგენილებები:

— გამგეობამ შეიძინა მოქალაქე გერმანე გოგიტიძისაგან ელექტრონის სადგური და თეატრი თავისი მოწყობილობით 1.750,000 მანეთად.

— ნება მიეცეს გამგეობას აიღოს მთავრობიდგან გრძელ ვადიანი სესხი ხუთი მილიონი 5.000,000 მანეთი ელექტრონის სადგურის გასაფართოვებლად და წისქვილის მოსაწყობათ.

— გაუდიდდეს ჯამაგირები გამგეობის წევრებს და მიეცეს მათ 1 აგვისტოდან: ქალაქის მოურავს 15.000 მანეთი და გამგეობის წევრებს კი 12.000 მანეთი თითოს თვეში. ქალაქის მოურავს მიეცეს ამა 1920 წლ. წარმომადგენლობისათვის 100.000 მანეთი.

— გაუდიდდეს ქალაქის მილიციის შტატს არსებული ჯამაგირი და მიეცეს მათ 1 აგვისტოდან: მილიციის უფროსს 7.500 მანეთი თვეში, მის თანაშემწეს 6.000 მან., საქმის მწარმოებელს 5.800 მანეთი, უფროსს მილიციონერს 5.500 მანეთი და 15 უმცროს მილიციონერებს 5.000 მანეთი თითოს.

— საბჭოს თავმჯდომარეთ, ნაცვლათ ოზურგეთიდან წასული პ. თოთიბაძისა, არჩეულ იქნა ხმ. ყარ. ქარცივაძე.

— გაიხსნას 1 ნოემბრიდან ადგილობრივ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთან საკვირაო სკოლა, რომლისთვის გამგეობას მიეცეს ამ თავიდან 5.000 მანეთი.

— ქალაქის დაწყებითი სასწავლებლის ინსტრუქტორათ საბჭომ აირჩია ადგილობრივი უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის გამგე ბ. გიორგი კენკაძე.

— ეთხოვოს სამაზრო ერობის გამგეობას რაიმე კულტურულ მეურნეობის დასაწყებათ დაეთმოს ქალაქის გამგეობას ექადია-გოშველის დაჩის სახელმწიფო საფონდო მიწიდან ორმოცდა ათ დესეტინამდე თავისუფალი მიწა.

— ქალაქის გამგეობამ შრომის სამინისტროდან მიიღო პირველი წყება სოციალური დახმარების წიგნაკებისა (18) და ფული 48.600 მანეთი, რომელიც უკვე დაურიგდა მეპატრონეებს.

— დღიდან სოციალური დახმარების კანონის გამოცემისა 14 ამა ოქტომბრამდე ქალაქის თვითმმართველობაში სულ შემოსულა თხოვნა 76,ვარი ეყო 3, შრომის სამინისტროში კი გადაგზავნილია 73.

— ქალაქის ხმოსანთა მომავალი არჩევნების სამზადისი უკვე დაიწყო—ქალაქი დაყოფილია ხუთ უბნათ, თითვეულ უბანში მცხოვრებლების აღსაწერათ დანიშნულია განსაკუთრებული კომისია—კომისია უკვე შეუდგა მუშაობას 25 ამა ოქტომბრიდან.

# წერილი რედაქ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით საკრედიტო და სახელმწიფო დაწესებულებათა საყურადღებოდ საყოველთაოდ გამოვაცხადო, რომ მე 25 ოქტომბრიდან ამა 1920 წლისა აღარა ვარ მეცხვარეთა კავშირის „მწყემსი"-ს თავმჯდომარეთ სხვა გაზეთებს ვსთხოვ გადაბეჭდონ ეს ცნობა.

ა. მაჩაბლიშვილი.

# სენატი

საქართველოს სენატის სამოქალაქო-საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების სასამართლო სხდომაში 1920 წ. ნოემბრის 4 დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

საქ. № 122. მაგ. 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ ბაგრატ ბარხუდაროვისა, ტფილისის საოლქო სასამართლოს 29 მაისის განაჩენზე, რომლითაც იგი ცნობილია დამნაშავედ სასჯ. დებ. 1454 მუხ. აღნიშნულ ბოროტმოქმედებაში.

საქ. № 123. მაგ. 1. საკასაციო საჩივარი ვასილი ფაიბასი და ოთარ და აკაკი ზვანბაიასი, სოხუმის ოლქის სასამართლოს 23 აგვისტოს განაჩენზე, რომლითაც ისინი ცნობილნი არიან დამნაშავეთ სასჯ, დებ. 1629. და 1632 მუხ. აღნიშნულ ბოროტ-მოქმედებაში.

საქ. № 74. მაგ. 2. საკასაციო საჩივარი მალაქია და ათანასე შენგელიებისა, ქუთაისის სამომრ. ოლქ. ყრილ. 1920 წ. 29 მარტის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებულნი შენგელიები ცნობილ იქნენ დამნაშავეთ თვისი დის გალახვაში და თანახმათ ს. ს. წ. წ. 159 და 168 მ. მისჯ. აქვთ ორი თვით მილიციაში დაპატიმრება.

საქ. № 16. მაგ. 2. კერძო პროტესტი ტფილისის დროებით საგანგებო სასამართლოს პროკურორის ამხანაგის ქელბაქიანის, ბრალდებულ აპოლონ ურუშაძის საქმეზე, ტფილისის საგანგებო სასამართლოს განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული ცნობილია დამნაშავეთ 1 ნაწ. 347 მუხ. აღნიშნულ სასჯ. დებ. ბოროტმოქმედებაში.

საქ. № 132. მაგ. 1. საკასაციო საჩივარი ალექსანდრე ბოკუჩავას დამცველის ნაფ. ვექ. დგებუაძის, ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1920 წლის 7 ოქტოიბრის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული ცნობილია დამნაშავეთ სასჯ. დებ. 1629 და 1932 მუხ. აღნიშნულ ბოროტმოქმედებაში.

# განცხადებანი

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის სამმართველოდან თამარა ივანეს ასულის უზბაშევას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3453 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან ალექსანდრე სერიას ძე ტერ ოგანეზოვის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 3464. 3—2

დაიკარგა მეტრიკა იკერთის ეკლესიიდან (გორ. მაზრა), სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული გორის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და თავისუფლების მოწმობა, მიღებული მეოთხე ქართულ პოლკიდან ალექსი ივანესძე ბუთხუზის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3465 3—2

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ვანო გაბრიელისძე დოთიაშვილის სახელზე, მიღებული კირბლის ეკლესიიდან (გორის მაზრა), გაუქმებულად ჩაითვალოს. 3466 3—2

დაიკარგა ჯარში გამწვევ უბნებზე მიწერილობის მოწმობა № 836 და მოწაფეობის ბილეთი № 564 კ. ვეტცელის სახელზე, მიღებული ტფ. 2 ვაჟთა გიმნაზიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3462 3—2

დაიკარგა ზაზღვარგარეთელი პასპორტი № 1891 მაქსიმენ იგნატეს ძე ლეიბერგის სახელზე, მიღებული როსტოვში გაუქმებულად ჩაითვალოს. 3432 3—2

დაიკარგა კვიტანცია № 503 მოსკოვის შრომის არტელის მიერ გაცემული მარიამ გრიგოლის ასულის რედროვას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3479 3—1

დაიკარგა ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების საწევრო წიგნაკი № 10211 ალექსანდრე მიხეილის ძე თარხანიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3481 3—1

დაიკარგა მატრიკული № 1042 მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მირიან გრიგოლის ძე ბურჭულაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3482 3—1

ბათომის უბნის სამოქალაქო განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე, იწვევს გარდაცვალებულის ოლიმპია ივანეს ასულის ფოვიცკის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ მე-10 ტ. 1 ნ. მე-1239 მუხლში გათვალისწინებული უფლებები გარდაცვალებულის ფოვიცკის ქონებაზე. 3237 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს განყოფილებების საზოგადო სხდომის დადგენილებით 16 აგვისტოს 1920 წ. ნიკოლოზ დიმიტრისძე ლებედინსკი მიღებულია კერძო ვექილების რიცხვში ხსენებულ სასამართლოსთან. 33867 1—1

თანახმად 1920 წ. 11 ოქტომბრის დადგენილებისა ქალაქ ტფილისის მეხუთე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს თავის კამერაში მუხრანის ქუჩაზე სახლი № 4 ოთხი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"ში პავლე პეტრეს ძე ქემქუეინს და სურენ დავითის ძე სერებრიაკოვს როგორც მოპასუხეებს საჩივრისა გამო ძმების აბდურახმან, ალი დეიდარ და ლაჯი ალა ზეინალოვებისა ორმოცდა ათი ათასის მანეთის თაობაზე ბინის ქირისათვის, ელექტრონის და წყლის სარგებლობისათვის და აგრეთვე ასანაზღაურებლათ იმ ხარჯისა, რომელიც გაუწევიათ მათ საბანაკო კანტორის მოსაწყობათ აღნიშნულს ბინაზე. დასამტკიცებლად ხარჯებისა წარმოდგენილია ორი ანგარიში საელექტრონო სადგურის ამხანაგობის „კულონისა", ასლი შეხშეკრულობისა სახლის პატრონების მანთაშოვების მომჩივანეებთან, ასლი ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებისა და ამოწერილობა სალაროს წიგნიდან. 3358 1—1

მეჯვრისხევის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მოქ. სამსონ დავითის ძე კეპაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლებები გარდაცვალებულის ქონებაზე. სამოქ. კან. კრებ. მე 10 ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 3241 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1206 მიცემული ტფილისის მილიციის უფროსისაგან ილია საჩინოს ძე ჯავახის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3472 3—1

დაიკარგა პასპორტი № 3093 ვარდო შალომეს ძე ელოშვილი-ზებულაძეს სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან 1917 წ. და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3468 4—1

დაიკარგა ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 2578 მოშე ისხაკის ძე ტელოშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3471 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიხეილ გიორგის ძე ლორის-მელიქოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3475 3—1

ქ. ტფილისის მე-15 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ზელმა იგივე ადელაიდა ლვოვის იგივე ლეოპოლდის ასული ნაკაშიძის მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ მათ 1241 მუხ. 10 ტ. 1 ნ. სამოქ კანონ. დაწესებულ ვადაში თავიანთი უფლება ზემოხსენებულ ნაკაშიძის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე. 3469 1—1

ტფილისის მე-13 უბნის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ მის დადგენილებით თარიღით 25 ოქტომბერს 1920 წ. რწმუნების წერილი მიცემული აბრამა შეულ მოვშოვიჩ კოვალსკის მიერ აბრამა მენდელი ბორუხოვი შუბისთვის გაუქმებულია. 3397 1—1

„ცხუმ-აბხაზეთის საეპარქიო სასამართლოში იასონ ივანეს ძე ზუზუბაიამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი თედოსია ივანე გორბენკოს ასული, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1913 წლის 6 მაისს, უკვალოდ დაიკარგა 1917 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას.

ყველა, ვინც იცის დაკარგული თეოდოსია ივანე გორბენკოს ასული ზუზუბაიას მისამართი,ვალდებულია განუცხადოს ზემოხსენებულ სასამართლოს აღნიშნული პირის მისამართი, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 3394 1—1

ქუთაისის 3 ვაგზლის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 12 იანვარს 1919 წ. გარდაცვალებულ ამალია თედორეს ასულის ვასილიევის მემკვიდრეებს, რათა ამათ განაცხადონ თავიანთი უფლებე ზემოხსენებულ ვასილიევის დანაშთ ქონებაზე სამოქ. კან. მე 10 ტ. 1 ნ. მე-1241 მუხ. დაწესებულ ვადაზე. 3389 1—1

**სააქციო საზოგადოების „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო" საზოგადოების გამგეობა**,

აუწყებს, ამ საზოგადოების აქციონერთ, რომ ამა წლის ოქტომბრის 31 დღის აქციონერთა პირველი საერთო კრების დადგენილების თანახმად, აქციების ღირებულების სრულად გასანაღდებლად დანიშნულია შემდეგი ვადა: ამა წლის 20 ნოემბრამდის უნდა იყოს შემოტანილი 250 მან. თითო აქციაზე და ამავე წლის 10 დეკემბრამდის დანარჩენი 125 მან. თითო აქციაზედ.

ფული უნდა შემოტანილი იყოს საზოგადოების სალაროში პუშკინის ქუჩა № 15.

3478 3—1

მეჯვრისხევის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ თამაზ დიმიტრის ძე ბაბახიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლებები გარდაცვალებულის ქონებაზე სამოქ. კან. კრებ. მე-10 ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 3241 1—1

დიდი-ჯიხაიშის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის ანტონ გრიგორის ძის რუხაძისას, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ანტონ გრიგორის ძის რუხაძის დანაშთენ ქონებაზე, მემკვიდრეობის კანონიერ ვადაში. 3238 1—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. [illegible]